



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to read "ფ. შენგელია".

ფრიდონ შენგელია

23.06 . 2017 წელი

ეგზ. N2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის

ფინანსური აუდიტის ანგარიში N33/36

სარჩევი	2
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
მნიშვნელოვანი საკითხები	5
საბიუჯეტო ასიგნების დაგეგმვა და შესრულება	7
შრომის ანაზღაურება	7
პრემია	8
დანამატები	9
მივლინების ხარჯები	11
წარმომადგენლობითი ხარჯები	12
შესყიდვები	14
შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა	14
ფებსაცმელების შეძენა	15
სამშენებლო სამუშაოები	16

შემოკლებები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატი - აპარატი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური - შემოსავლების სამსახური;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური - საგამოძიებო სამსახური;

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ - ექსპერტიზის ბიურო;

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ – ლატარიის კომპანია.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (კოდი 23 01 01 - აპარატი) ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული შემდეგი ანგარიშები: „ანგარიში ფინანსური შედეგების შესახებ“, „ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ“, „ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ“, „ანგარიში ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ“. შენიშვნები, რომელიც შეიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ასევე, ანგარიში მოიცავდა შემდეგ დანართებს: „ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშგებაზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ“, „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „ორგანიზაციის ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“, „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე, ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშგებაზე რიცხული დებიტორული და კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ“, „ინფორმაცია დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში“.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

აუდიტის პროცესში, ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას, კერძოდ: ობიექტის მიერ აუდიტის ჯგუფისთვის არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია 2016 წელს დასაქმებული თანამშრომლების მიერ დაკავებული თანამდებობებისა და შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების შესახებ, რის გამო ვერ იქნა აუდირებული წლის განმავლობაში თითოეული თანამშრომლისთვის დარიცხული თანამდებობრივი სარგოს სიზუსტე.

მნიშვნელოვანი საკითხები

ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საწყისი რედაქციით ფინანსთა სამინისტროს (კოდი 23 00) დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 90,000.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ზუსტად შეესაბამებოდა საბოლოო კორექტირებული საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ მაჩვენებლებს ჭერის ფარგლებში. 2016 წლის 21 დეკემბერს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, სამინისტროს მთლიანი ასიგნება შემცირებულია 3,450.0 ათასი ლარით და შეადგინა 86,550.0 ათასი ლარი. თანხა მთლიანად მოაკლდა ფინანსთა სამინისტროს აპარატის (კოდი 23 01 01) ასიგნებას, მათ შორის მუხლით „საქონელი და მომსახურება“ 1,700.0 ათასი ლარი, ხოლო მუხლით „არაფინანსური აქტივების ზრდა“ 1,750.0 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში სამინისტროს ასიგნება შემცირებულია ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე 2-ჯერ, 335.9 ათასი ლარით და ერთჯერადად 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მთავრობის განკარგულების¹ საფუძველზე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად.

2016 წლის განმავლობაში, დამტკიცებულ გეგმაში შეტანილი 12 ცვლილებიდან, 10 შემთხვევაში განხორციელებულია თანხის გადატანა მუხლიდან მუხლში, ხოლო 2

¹ „ზოგადი ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 3 აგვისტოს N1585 განკარგულება.

შემთხვევაში კოდიდან კოდში. ამ უკანასკნელმა შეადგინა 1,200.8 ათასი ლარი (1,4%), რაც კანონით დაშვებულის ფარგლებშია.

ცხრილი N1

კოდი	დასახელება	განაცხადით	დამტკიცებული გეგმა	გეგმის ცვლილება	სხვაობა (4-3)	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6	7
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	90,000.00	90,000.00	86,550.00	0.00	-3,450.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4,785	4,785	4,785	0	0
	ხარჯები	84,044.00	84,044.00	82,344.00	0	-1,700
	შრომის ანაზღაურება	64,310.00	64,310.00	64,310.00	0	0
	არაფინანს. აქტივების ზრდა	5,956.00	5,956.00	4,206.00	0	-1,750
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	26,456.00	26,456.00	23,006.00	0.00	-3,450.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	426	426	426	0	0
	ხარჯები	21,679.00	21,679.00	19,979.00	0	-1,700.00
	შრომის ანაზღაურება	9,773.00	9,773.00	9,773.00	0	0
	არაფინანს. აქტივების ზრდა	4,777.00	4,777.00	3,027.00	0	-1,750.00
23 02	შემოსავლების მოზილიზება და გადამხდ. მომს. გაუმჯობესება	37,144.00	37,144.00	37,144.00	0.00	0.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,568	3,568	3,568	0	0
	ხარჯები	37,144.00	37,144.00	37,144.00	0	0
	შრომის ანაზღაურება	37,144.00	37,144.00	37,144.00	0	0
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,500.00	17,500.00	17,500.00	0.00	0.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	670	670	670	0	0
	ხარჯები	17,500.00	17,500.00	17,500.00	0	0
	შრომის ანაზღაურება	13,890.00	13,890.00	13,890.00	0	0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7,800.00	7,800.00	7,800.00	0.00	0.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	99	99	99	0	0
	ხარჯები	6,631.00	6,631.00	6,631.00	0	0
	შრომის ანაზღაურება	3,028.00	3,028.00	3,028.00	0	0
	არაფინანს. აქტივების ზრდა	1,169.00	1,169.00	1,169.00	0	0
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1100	1100	1,100.00	0.00	0.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22	22	22	0	0
	ხარჯები	1090	1090	1,090.00	0	0
	შრომის ანაზღაურება	475	475	475	0	0
	არაფინანს. აქტივების ზრდა	10	10	10	0	0

ფინანსთა სამინისტროს აპარატის ასიგნება პირველი დამტკიცებული გეგმის თანახმად შეადგენდა 22,385.0 ათას ლარს, ხოლო კანონში შეტანილი ცვლილების

შემდეგ, მეორე დამტკიცებული გეგმა 18,935.0 ათას ლარს, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ 16,603.6 ათასი ლარი შეადგინა.

დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი N2

ორგ. კოდი	დასახელება	დამტკიცებული სულ	II დამტკიცებული	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
23 01 01	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატი	22,385,000	18,935,000	16,603,581	15,054,281
	ხარჯები	17,608,000	15,908,000	15,696,849	14,551,977
	შრომის ანაზღაურება	7,523,000	7,523,000	7,513,000	7,335,089
	საქონელი და მომსახურება	9,600,000	7,900,000	7,746,472	6,806,887
	გრანტები	45,000	45,000	45,000	40,020
	სოც. უზრუნველყოფა	120,000	120,000	130,000	129,205
	სხვა ხარჯები	320,000	320,000	262,377	240,776
	არაფინანს. აქტივების ზრდა	4,777,000	3,027,000	906,732	502,304
23 01 02	სუვერენული რეიტინგი	1,461,000	1,461,000	1,461,000	562,941.26
	ხარჯები	1,461,000	1,461,000	1,461,000	562,941
	საქონელი და მომსახურება	1,461,000	1,461,000	1,461,000	562,941
23 01 03	სახაზინო სამსახური	2,610,000	2,610,000	2,610,000	2,266,511
	ხარჯები	2,610,000	2,610,000	2,610,000	2,266,511
	შრომის ანაზღაურება	2,250,000	2,250,000	2,250,000	2,111,403
	საქონელი და მომსახურება	300,000	300,000	300,000	125,031
	სოც. უზრუნველყოფა	60,000	60,000	60,000	30,077
23 01 04	ბუღ. აღრიცხვის, ანგარიშგ. აუდიტის ზედამხ. სამსახ.			100,778	97,596
	ხარჯები		0	100,778	97,596
	შრომის ანაზღაურება		0	85,778	82,597
	საქონელი და მომსახურება		0	15,000	14,999

შრომის ანაზღაურება

2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7,335.1 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია ქვემოთ (ცხრილი N3), რომელიც შედარდა 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ცხრილი N3

შრომის ანაზღაურება	2015 წელი	%-ული წილი	2016 წელი	%-ული წილი	შეფარდება (2016წ./2015წ.)
--------------------	-----------	------------	-----------	------------	---------------------------

თანამდებობ. სარგო	3,759,520	50%	3,725,482	51%	99%
პრემია	1,678,940	22%	1,303,520	18%	78%
დანამატი	2,151,212	28%	2,306,087	31%	107%
სულ	7,589,672	100%	7,335,089	100%	97%

ცხრილიდან ჩანს, რომ 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულ საერთო ხარჯს არ გადაუჭარბებია 2015 წლის ანალოგიური მონაცემისთვის (97%). ასევე, არ გადაუჭარბებია „თანამდებობრივი სარგოსა“ (99%) და „პრემიის“ (78%) ქვემუხლებით გაწეულ ხარჯებს. თუმცა, ქვემუხლით „დანამატები“ გაწეულმა ხარჯებმა 7%-ით გადააჭარბა წინა წლის ანალოგიურ მონაცემს.

აუდიტის ჯგუფის მიერ გაანალიზდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშების სისწორე კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით. გამოვლინდა, რომ შტატით დასაქმებულთა საშუალო ფაქტობრივმა წლიურმა ოდენობამ შეადგინა 262 მომუშავე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 328 ერთეულისა, ანუ 66 საშტატო ერთეულით ნაკლები. წლის განმავლობაში ვაკანტური თანამდებობების არსებობის გამო, ქვემუხლით „თანამდებობრივი სარგო“ წარმოქმნილი ეკონომია განაწილებულია სხვა ქვემუხლებით გაწეულ ხარჯებზე და აუთვისებელი დარჩა მხოლოდ 187,9 ათასი ლარი. კერძოდ: ქვემუხლით „თანამდებობრივი სარგო“ ეკონომიამ შეადგინა 1,043.8 ათასი ლარი, საიდანაც ქვემუხლით „პრემია“ გასაწევი ხარჯები გაზრდილია 679.8 ათასი ლარით (109%), ხოლო ქვემუხლით „დანამატი“ დაგეგმილი ხარჯი გაზრდილია 176.1 ათასი ლარით (8%).

ცხრილი N4

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 23 01 01	განაცხადით	ფაქტიური	სხვაობა	%
რიცხოვნობა	328	262	-66	80%
ხარჯები	17 608 000,0	14 551 976,8	-3 056 023,17	83%
შრომის ანაზღაურება	7 523 000,0	7 335 088,8	-187 911,18	98%
ხელფასები	7 523 000,0	7 335 088,8	-187 911,18	98%
თანამდებობრივი სარგო	4 769 280,0	3 725 481,8	-1 043 798,18	78%
პრემია	623 700,0	1 303 520,0	679 820,00	209%
დანამატი	2 130 000,0	2 306 087,0	176 087,00	108%

პრემია

2016 წელს აპარატის 40 თანამშრომელზე გამონაკლისის სახით გაცემულია პრემია ზღვრული ოდენობის ზევით, თუმცა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პირის შუამდგომლობაში არ იყო მითითებული, თუ რის გამო ჩაითვალა მიზანშეწონილად გაცემულიყო პრემია დადგენილი ნორმის ზევით. კერძოდ, 3 დამხმარე მოსამსახურეს მიღებული აქვს პრემია თითოეულს 17-ჯერ, 21 დამხმარე მოსამსახურეს, თითოეულს 16-ჯერ, 2 დამხმარე მოსამსახურეს, თითოეულს 15-ჯერ, ერთს 8-ჯერ. ასევე, 8-ჯერ აქვს მიღებული პრემია სპეციალისტებსა და სამმართველოს უფროსებს. 19 თანამშრომელზე წლის განმავლობაში გაცემული პრემიების ჯამური სიდიდე გადაჭარბებულია თანამდებობრივი სარგოს შვიდმაგ ოდენობაზე, ხოლო ერთჯერადად გაცემული პრემია თანამდებობრივ სარგოს აღემატება 107 შემთხვევაში.

დანამატი

ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N20 ბრძანებით, აპარატის 220 თანამშრომელს დანიშნული ჰქონდა დანამატი.² ბრძანებაში სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს დამატებით ანაზღაურებას ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის ყოველწლიურად, შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში. წლის განმავლობაში დანამატების სახით გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 2,306.1 ათასი ლარი, აქედან „შრომის ანაზღაურების“ მუხლში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე გაიცა მხოლოდ 176.1 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ არც ბრძანებით და არც სხვა რაიმე დოკუმენტით, პერსონალზე დაკისრებული საპასუხისმგებლო ფუნქციები არ იყო დაკონკრეტებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის აღრიცხვის გაანგარიშების ტაბელები), ასევე, არ დასტურდება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება იმ მოხელეთა მხრიდან, რომლებზედაც გაიცემოდა დანამატები საანგარიშო პერიოდში.

ქვემოთ მოყვანილია აპარატის თანამშრომელზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარიცხული თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების შედარების ცხრილი.

² დანამატების გაცემა წარმოებდა ყოველთვიურად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის გზით.

ცხრილი N5

თანამდებობა	დანამატი	სარგო	%-ული შეფარდება
სამმართველოს უფროსი	38,290	19,920	192%
დეპარტამენტის უფროსი	42,000	23,537	178%
სამსახურის უფროსი	38,500	22,506	171%
დეპარტამენტის უფროსი	42,000	24,647	170%
სამსახურის უფროსი	42,000	25,076	167%
მინისტრის მოადგილე	54,360	32,640	167%
მინისტრის მოადგილე	54,360	32,640	167%
მინისტრის მოადგილე	49,830	29,920	167%
მინისტრის მოადგილე	54,360	32,640	167%
მინისტრის მოადგილე	54,360	32,640	167%
დეპარტამენტის უფროსი	17,500	10,609	165%
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	37,320	22,680	165%
დეპარტამენტის უფროსი	42,000	25,560	164%
სამსახურის უფროსი	42,000	25,560	164%
აპარატის უფროსი	42,000	25,560	164%
დეპარტამენტის უფროსი	42,000	25,560	164%
დეპარტამენტის უფროსი	39,000	24,467	159%
დეპარტამენტის უფროსი	14,000	9,230	152%
სამსახურის უფროსი	3,500	2,434	144%
დეპარტამენტის უფროსი	3,500	2,434	144%
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	30,000	23,541	127%
სამმართველოს უფროსი	24,085	19,920	121%
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	25,200	21,530	117%
აპარატის უფროსის მოადგილე	23,880	22,680	105%
მთავარი ბუღალტერი	17,660	17,040	104%
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	22,480	22,230	101%
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	22,780	22,613	101%

ასევე, გაანალიზდა 2016 წელს მენეჯმენტზე გაცემული პრემიებისა და დანამატების ხვედრითი წილი, როგორც მთლიან ხარჯთან მიმართებაში, ასევე ცალკეული მენეჯერის მიმართ.

ცხრილი N6

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი	სულ (1+2+3)	შეფარდება ((2+3)/1)
	1	2	3	4	5
მინისტრი	38,435		29,810	68,245	78%
მინისტრი	4,046		2,710	6,756	67%
მინისტრის პირველი მოადგილე	35,400	2,250	35,400	73,050	106%
მინისტრის მოადგილე	32,640	2,250	54,360	89,250	173%
მინისტრის მოადგილე	18,999	0	15,030	34,029	79%
მინისტრის მოადგილე	32,640	2,250	54,360	89,250	173%
მინისტრის მოადგილე	29,920	2,250	49,830	82,000	174%
მინისტრის მოადგილე	32,640	2,250	54,360	89,250	173%


მინისტრის მოადგილე	32,640	2,250	54,360	89,250	173%
აპარატის უფროსი	25,076	4,500	42,000	71,576	185%
დეპარტამენტის უფროსი	23,536	4,500	42,000	70,036	198%
დეპარტამენტის უფროსი	49,903	4,500	41,500	95,903	92%
დეპარტამენტის უფროსი	25,560	4,625	42,000	72,185	182%
დეპარტამენტის უფროსი	25,560	4,500	42,000	72,060	182%
დეპარტამენტის უფროსი	24,467	4,625	39,000	68,092	178%
დეპარტამენტის უფროსი	9,230	1,250	14,000	24,480	165%
დეპარტამენტის უფროსი	24,647	4,500	42,000	71,147	189%
დეპარტამენტის უფროსი	20,828	4,625	18,200	43,653	110%
დეპარტამენტის უფროსი	10,609	3,250	17,500	31,359	196%
დეპარტამენტის უფროსი	2,434	1,000	3,500	6,934	185%
სამსახურის უფროსი	22,506	3,625	38,500	64,631	187%
სამსახურის უფროსი	25,076	4,500	42,000	71,576	185%
სამსახურის უფროსი	25,560	4,625	42,000	72,185	182%
სამსახურის უფროსი	25,560	4,500	17,100	47,160	85%
სამსახურის უფროსი	2,434	1,000	3,500	6,934	185%
სულ მენეჯმენტი	600,346	73,625	837,020	1,510,991	152%
სხვა დანარჩენი	3,125,136	1,232,462	1,469,067	5,826,665	86%
სულ	3,725,482	1,306,087	2,306,087	7,337,656	97%

მენეჯმენტის 24 წარმომადგენელზე გაცემულმა პრემია-დანამატებმა აღნიშნული ქვემუხლებით გაწეული მთლიანი საკასო ხარჯის 25,2%, ხოლო თითოეულ მენეჯერზე გაცემული დანამატისა და პრემიის საშუალო პროცენტულმა სიდიდემ თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში 152% შეადგინა. დანარჩენ პერსონალზე, საანგარიშო პერიოდში, გაცემულია საშუალოდ მათი თანამდებობრივი სარგოს 86%.

მივლინების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში ობიექტის მიერ გაწეულმა მივლინების საკასო ხარჯებმა 305,545 ლარი შეადგინა. მათ შორის 15,270 ლარი გახარჯულია ქვეყნის შიგნით, ხოლო 290,275 ლარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებზე.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების დროს ავიაბილეთების შეძენაზე გახარჯულია სულ 87,338 ლარი. აქედან გაწეული ხარჯის 94,7% შეადგენს შპს „თრეველინი“-სგან ბილეთების შესაძენად გადახდილ თანხას.



ობიექტის განმარტებით, თანამშრომელთა მივლინებებისათვის ავიაბილეთების შესასყიდად ბაზრის მოკვლევა არ მიმდინარეობს, რადგანაც თითოეული თანამშრომელი, რომელიც უნდა გაემგზავროს მივლინებაში, თავად არჩევს სად შეიძინოს ავიაბილეთი, შესაბამისად აპარატს არ გააჩნდა ინფორმაცია რამდენად რაციონალურად ხორციელდებოდა ავიაბილეთების შესაძენად საბიუჯეტო სახსრების გახარჯვა, რაც კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

ქვეყნის შიგნით მივლინებებისას საცხოვრებელი ფართის დაქირავებისას ზოგიერთ შემთხვევაში გადახდილია მაღალი ოდენობის თანხები, მაგალითად: 2016 წლის 30 ივლისს დ. ჩაქვში, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“ განთავსების 1 დღის ღირებულებამ შეადგინა 704 ლარი³, რაც აღემატება არა მხოლოდ საქართველოში არსებულ საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებას, არამედ 3-ჯერ და მეტად აღემატება ისეთი ქვეყნების საცხოვრებელი ფართის დაქირავების ნორმებს, როგორიცაა: იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი და სხვა⁴.

ასევე, 2016 წლის 13 ივლისს ქ. ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“ 1 დღე-ღამით განთავსების ღირებულებამ შეადგინა 649 ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო კლასის სასტუმროს ღირებულებას⁵.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2016 წელს სამინისტროს მიერ გაწეულმა საკასო ხარჯმა მუხლით „წარმომადგენლობითი ხარჯები“ 109.6 ათასი ლარი შეადგინა.

³ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების დანართი N2

⁴ ფინანსთა მინისტრის 29.07.2016წ. ბრძანება Nმ-926

⁵ ფინანსთა მინისტრის 13.07.2016წ. ბრძანება Nმ-790

წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში, სარესტორნო მომსახურების შეძენასთან დაკავშირებით გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, კერძოდ:

ბრძანებებში არ იყო მითითებული სტუმრების რაოდენობა, ღონისძიების ჩატარების ადგილი, დრო და სავარაუდო ხარჯები. მოხსენებით ბარათებში არ იყო დაკონკრეტებული ღონისძიებაში მონაწილე პირთა ვინაობა, ხოლო 2 შემთხვევაში საერთოდ არ იყო მითითებული, თუ რამდენ კაცზე უნდა გამართულიყო ღონისძიება (სადილი). სარესტორნო მომსახურების გაწევისას, არ არის წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები და ჩეკ-მენიუები, შესაბამისად ვერ დგინდება ღონისძიებაში მონაწილე პირთა რაოდენობა. ობიექტის განმარტებით: „სარესტორნო მომსახურებების შესყიდვისას მენიუ-ჩეკები და მიღება-ჩაბარების აქტები სამინისტროსთვის არ წარმოადგენდა აუცილებელ და სავალდებულო დოკუმენტს“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას, ყველა სხვა შემთხვევაში, გარდა სარესტორნო მომსახურებისა, აპარატის მიერ მ/ჩ აქტები შედგენილია.

ზოგიერთ შემთხვევაში სარესტორნო მომსახურებაზე გაწეულია არაგონივრულად მაღალი ოდენობის ხარჯები. კერძოდ:

2016 წლის 25 აგვისტოს რესტორან „კოპალა“-ში 14 პერსონის მისაღებად გამართულ ღონისძიებაზე გაწეულია 2,397 ლარის ოდენობის ხარჯი, ანუ 1 პერსონაზე გახარჯულია 171 ლარი.

2016 წლის 5 დეკემბერს აპარატის მიერ რესტორან „ფუნიკულიორში“ გამართულ საქმიან ვახშამზე 1 პერსონისათვის გადახდილია 188 ლარი (ჯამში 25 პერსონაზე 4,689 ლარი), მაშინ როდესაც იგივე რესტორანში საგამოძიებო სამსახურის მიერ იტალიელი სტუმრებისათვის გამართულ ვახშამზე 1 პერსონაზე გადახდილი იყო 75 ლარი. (სულ 8 პერსონაზე 600 ლარი).

2016 წლის 8 დეკემბერს რესტორან „VINOTEL“-ში 20 პერსონის მისაღებად გადახდილია 3,259 ლარი, რამაც 1 პერსონაზე შეადგინა 163 ლარი, მაშინ, როცა იმავე რესტორანში 19 დეკემბრის ვახშამის ღირებულებამ შეადგინა 1,485 ლარი, ანუ 1 პერსონაზე 99 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა

ზოგიერთ შემთხვევაში სავარაუდო სატენდერო ღირებულებები ბევრად აღემატებოდა შესაბამისი სამუშაოს/საქონლის/მომსახურების საბაზრო ღირებულებებს (მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის მიერ ხორციელდებოდა ბაზრის მოკვლევის ღონისძიებები).

N	SPA	მიმწოდებლის დასახელება	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების ობიექტი	სავარაუდო ღირებულება	ტენდერში დაფიქს. თანხა	სხვაობა (ლარი)	%-ლი სხვაობა
1	160016095	აიტინეო	გეტ	ქსელური სისტემ. შესყიდვა	27,200	20,000	7,200	26.5%
2	160010896	მერაბ გულედანი	გეტ	სამდებრო საუშაოები	49,900	24,700	25,200	50.5%
3	160017398	ბეთერ ფლაი	გეტ	სარეკლამო რგოლ.განთავსება	95,000	69,800	25,200	26.5%

ერთი კომპლექტი ქსელური სისტემის (თანმდევი მომსახურებით და ინსტალაციით) შესყიდვის მიზნით 2016 წლის 3 ივნისს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 27.2 ათასი ლარს, მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. 20.0 ათასი ლარით გამარჯვებულია შპს „აიტინეო“, რომელთანაც 2016 წლის 30 ივნისს გაფორმებულია N159 ხელშეკრულება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასასაბუთებლად შპს „აიტინეოს“ მიერ წარმოდგენილია შპს „კა ელ ჯი +“-ის 2016 წლის 20 ივნისის ინვოისი, რომლის თანახმად მისაწოდებელი საქონლის ღირებულებამ (თანმდევი მომსახურებით და ინსტალაციით) შეადგინა 15.3 ათასი ლარი, რაც სავარაუდო ღირებულების 56.3%-ია.

ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში კონსტრუქციების ღებვის და დამცავი საფარით დაფარვის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2016 წლის 6 აპრილს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით 49.9 ათასი ლარი, მონაწილეობას იღებდა ჩვიდმეტი კანდიდატი. მათ შორის საუკეთესო ფასი - 24.7 ათასი ლარის (49.5%) ოდენობით შეთავაზებულია ი.მ „მერაბ გულედანი“-ს მიერ, რომელსაც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაევალა აღნიშნული ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. წარმოდგენილია აუდიტორული კომპანია შპს „შეფასების სახლის“ ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით ი.მ „მერაბ გულედანს“ შეუძლია ტენდერით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად და შეუფერხებლად შესრულება 24.7 ათას ლარად. სატენდერო პროცედურების გავლის

შემდეგ ი.მ „მერაბ გულედანთან“ 2016 წლის 25 მაისს გაფორმებულია 24.7 ათასი ლარის ღირებულების N 133 ხელშეკრულება.

საგადასახადო რეფორმის შესახებ სარეკლამო რგოლის, ქრონომეტრაჟით 63 წამი, სამ ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო არხზე განთავსების მიზნით 2016 წლის 15 ივნისს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით 95.0 ათასი ლარი, მონაწილეობას იღებდა ოთხი კანდიდატი. მათ შორის საუკეთესო ფასი - 69.8 ათასი ლარი (73,5%) დაფიქსირებული აქვს შპს „ბეთერ ფლაი“-ს, რომელსაც დაევალა აღნიშნული ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება. წარმოდგენილია აუდიტორული ფირმა შპს „აბსოლუტ მენეჯმენტ ჯორჯიას“ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს შპს „ბეთერ ფლაი“-ს მიერ შეთავაზებული ფასის ფასწარმოქმნის ადექვატურობას. სატენდერო პროცედურების გავლის შემდეგ შპს „ბეთერ ფლაი“-სთან 2016 წლის 15 ივლისს გაფორმებულია 69.8 ათასი ლარის ღირებულების N164 ხელშეკრულება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის იმავე დღის N90454 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების N164/1 შეთანხმებით სარეკლამო კლიპის ქრონომეტრაჟი 63 წამიდან შემცირებულია 54 წამამდე და სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 63.0 ათასი ლარი. კერძოდ, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ზე“ 41.2 ათასი ლარი, „იმედზე“ 16.2 ათასი ლარი, „მანესტროზე“ 2.6 ათასი ლარი, მათი რეიტინგების შესაბამისად.

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით აუცილებელია შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები განისაზღვროს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად.

ფეხსაცმლის შეძენა

2016 წლის 11 აგვისტოს საგამოძიებო სამსახურისათვის ფეხსაცმლის შესამენად გამოცხადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁶, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 36,000 ლარს.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად მოთხოვნილი იყო შემსყიდველისათვის 120 წყვილი ზაფხულის მაღალყელიანი ფეხსაცმლის (ბათინკის) მიწოდება. ფეხსაცმელი უნდა ყოფილიყო შავი ფერის, წყალგაუმტარი და დამზადებული ნატურალური ტყავისაგან. ფეხსაცმლის გარე ზედაპირი დამზადებული უნდა

⁶ SPA160022540.

ყოფილიყო რისკსტოპ/ნეილონ ან ნეილონ/ქორდურასაგან, ხოლო ძირი პოლიურეთანის მასალის.

ტენდერში გამარჯვებულია შპს „კოზტრანსი“⁷ საწყისი სატენდერო თანხით 36,000 ლარი, ანუ ერთი ერთეული ფეხსაცლის ღირებულებამ შეადგინა 300 ლარი.

სატენდერო კომისიის 2016 წლის 1 სექტემბრის N3 სხდომის ოქმის თანახმად, შპს „კოზტრანსი“ მოთხოვნილია ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის წარმოდგენა საქონლის ნიმუშის შესაბამისობის დასადგენად, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულთან. პრეტენდენტის მიერ ექსპერტიზის ბიუროსთან დასმული იყო 3 შეკითხვა: ა) გარე ძირის ქიმური შემოწმება არის თუ არა რეზინი/პოლიურეთანი? ბ) ფეხსაცმლის გარეთა ქსოვილი არის თუ არა ნეილონ კორდურა? გ) არის თუ არა ნატურალური ტყავი?

ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად⁸ ფეხსაცმლის ნიმუში დამზადებულია ნატურალური ტყავისაგან, ხოლო გარე ძირის შემადგენლობაში პოლიურეთანის შემცველობა და გარეთა ქსოვილში ნეილონ/კორდურას არსებობა ექსპერტიზის მიერ დადასტურებული არ არის. ასევე, ექსპერტიზამ ვერ განსაზღვრა ფეხსაცმლის ჰიდროფობურობა (წყალამრეკლობა).

ამდენად, ექსპერტიზის დასკვნით ვერ იქნა დადასტურებული შპს „კოზტრანსის“ მიერ წარმოდგენილი მისაწოდებელი საქონლის ნიმუშის შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილთან. მიუხედავად ამისა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით⁹ გაფორმებულია ხელშეკრულება¹⁰.

სამშენებლო სამუშაოები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე 2016 წლის 8 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში თანხით 97.5 ათასი ლარი, გამარჯვებულია (იგივე თანხით) შპს „არქეფექტი“.

შპს „დი ენდ კომპანის“ მიერ შედგენილი სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, მე-17, მე-18 და 34-ე პოზიციაზე შესასრულებელ სამუშაოებზე (კედლების და ჭერის თაბაშირმუყაოს ფილებით

⁷ მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.


⁸ ექსპერტის 06.09.2016წ. დასკვნა N005300316.

⁹ სატენდერო კომისიის 2016 წლის 12 სექტემბრის N4 ოქმი

¹⁰ 2016 წლის 19 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმებულია N199 ხელშეკრულება

მოწყობა) ერთი კვ.მ თაბაშირ-მუყაოს ფილის ღირებულებად დაფიქსირებულია 3.1 ლარი, ხოლო შპს „არქეფექტის“ მიერ მე-17 და მე-18 პოზიციაზე 3.15 ლარი, 34-ე პოზიციაზე კი (თაბაშირმუყაოს ფილის ღირებულება), არაგონივრულად მაღალი, 100-ჯერ მეტი თანხა - 315 ლარი. შედეგად, 2016 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების შუალედურ აქტში (ფორმა N2) 17.48 კვ.მ თაბაშირმუყაოს ფილის ღირებულებად დაფიქსირებულია $(17.48 \times 315) 5,506.2$ ლარი, ნაცვლად $(17.48 \times 3.15) 55.1$ ლარისა. სხვაობა, დარიცხვების გარეშე შეადგენს 5,451 ლარს, ხოლო დარიცხვებით $(5,451 \times 2\% \times 5\% \times 5\% \times 18\%) 7,233$ ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ჯგუფის მითითების შედეგად, აპარატსა და შპს „არქეფექტს“ შორის გაფორმებული იქნა 2017 წლის 2 მარტის N217/2 შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დაკორექტირდა (შემცირდა) მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი თანხა 7,233 ლარით.

უფროსი აუდიტორი		ნესტან ჯანელიძე
უფროსი აუდიტორი		თენგიზ გურასაშვილი
უფროსი აუდიტორი		შალვა ჯავახიშვილი
აუდიტორ-ასისტენტი		ალეკო იობიძე